შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“ (ID: 202235296)
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
№46/24

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“ (ID: 202235296)
№63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com
„12“ თებერვალი 2024წ

კონსტრუქციული დასკვნა

ქალაქი თბილისი, ჭუჩა წინანდალი, №9 ; ქალაქი თბილისი, ჭუჩა წინანდალი, №9, შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს (ID: 208215509) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.17.13.001.406, ასაშენებელი III კლასის მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ ვიზუალური გამოკვლევა ჩაუტარდა საპროექტო ტერიტორიას, ამავე და მის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე ნაგებობებს, III კლასის მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების, ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობების მდგრადობაზე შესაძლო ზეგავლენის დასადგენად.

საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის შენობა გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, მცირე შეჭრებით და ნაშვერებით. ნაგებობის გაბარიტული ზომები ძირითად: „1“-„7“ და „A1v“-„H“ ღერძებს შორის შეადგენს: 64,00X34,16მ.

საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი ერთსართულიანია (სარდაფის ერთი სართულით). სარდაფის სართულის კონსტრუქციული სიმაღლე შეადგენს: 3,00მ; საპროექტო შენობის მაქსიმალური მალები გრძივი და განივი მიმართულებით შეადგენს: 5,90მ.

კონსტრუქციული სქემის მიხედვით საპროექტო შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, ხისტი კვანძებით. საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის შენობის პირობითი ნიშნულს -3.15-ს (სარდაფის სართულის იატაკის დონეს), შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული: +431,00მ.

სამშენებლო მოედანი ხასიათდება შემდეგი გეოფიზიკური და კლიმატური მონაცემებით:

- სეისმურობა 8 ბალი (MSK 64 სკალის მიხედვით, ქალაქი თბილისი, მიეკუთვნება 8 ბალიანი სეისმურობის ზონას, ჰორიზონტალური აჩქარება A=0.17g)
- ქარის ნორმატიული დაწნევა: 85კგძ/მ²;
- თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა: 50 კგძ/მ²;
- საძირკვლების ფუძედ, საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე მიღებულია თიხნარი (ძნელპლასტიკური კონსისტენციის) გრუნტი, პირობითი საანგარიშო წინაღობით კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში: Ro=2,0კგძ/სმ², დეფორმაციის მოდულით: E=150,0კგძ/სმ².

საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 45სმ. საძირკვლების ძირის ჩაღრმავება შენობის გარე პერიმეტრზე მიწის ზედაპირიდან შეადგენს 3,10÷3,30მ; ქვაბულის ძირის ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან შეადგენს 3,20÷3,40მ;

საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი მშენებარეა, არსებული მდგომარეობით, აშენებულია ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემა შეთანხმებული პროექტის მიხედვით.

შეთანხმებული პროექტის ცვლილება ითვალისწინებს შემდეგ სამუშაოებს:

- შეიცვალა საავტომობილო პანდუსის კონფიგურაცია;
- „1“ ღერძის გასწვრივ, -0.15 ნიშნულზე ემატება 38სმ და 35სმ სიმალის კედლები;
- არსებულ შენობაში მოიხსნება შშმ პირთა პანდუსი და არსებული შენობის სამი მალის გასწვრივ („B“-„E“ ღერძებში) მოეწყობა 4%-იანი დახრის პანდუსი, რომელიც გამოყენებული იქნება შშმ პირთათვისაც;
- „H“ ღერძის გარეთ, „1“-„2“ ღერძების მიმდებარე მონაკვეთში ემატება მცირე ფართი გაბარიტული ზომებით: 3,80X6,53მ.

საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებარე შენობას:

<u>აღმოსავლეთის მხრიდან:</u>

მთელ სიგრძეზე ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა №01/11. მომიჯნავე შენობა №01/11 თორმეტსართულიანია (11 მიწისზედა სართულით და სარდაფის ერთი სართულით). კონსტრუქციული სქემის მიხედვით მომიჯნავე შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მისი საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 80სმ. შენობა №01/11-ის მზიდი კონსტრუქციები კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია. საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის საძირკვლები მოშორებულია შენობა №01/11-ის საძირკვლებიდან არანაკლებ 1,0 მეტრის მანძილზე, მიახლოება მომიჯნავე შენობასთან -0.15 ნიშნულზე პროექტის მიხედვით გადაწყვეტილია კონსოლების საშუალებით.

საპროექტო მრავალადგილიანი ავტოსადგომი წარმოადგენს მიწისქვეშა ნაგებობას, შენობის მთლიანი წონა (მასა) დაახლოებით 3,5-ჯერ ნაკლებია ქვაბულიდან ამოღებული გრუნტის წონაზე. შესაბამისად, ასაშენებელი შენობის მხრიდან ფუძე-გრუნტზე მოსული საპროექტო დატვირთვები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ახლანდელი არსებული დატვირთვები, რაც გამორიცხავს საპროექტო მრავალადგილიანი ავტოსადგომის ჯდენით დეფორმაციებს. საპროექტო ავტოსადგომის საძირკვლების ძირი და მომიჯნავე შენობა №01/11-ის საძირკვლების ძირი განთავსებულია დაახლოებით თანაბარ ნიშნულზე (საპროექტო საძირკვლები შედარებით მაღლაა, ვიდრე არსებული, სხვაობა არ აღემატება 40სმ-ს).

შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები აღმოსავლეთის მხარეს, მომიჯნავე შენობასთან მიმართებაში, მშენებარე ნაგებობის საძირკვლების და ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის ცვლილებას არ იწვევს.



ზემოთაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, აღმოსავლეთის მხარეს, საპროექტო შენობის მხრიდან, ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე, შენობა შენობა №01/11-ზე რაიმე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

<u>დასავლეთის მხრიდან:</u>

დიდ ნაწილში (სამხრეთის მხარეს) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 12,0 მეტრის მანძილზე მეტრის მანძილზე, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია.

მცირე ნაწილში (ჩრდილოეთის მხარეს, 8,50 მეტრიან მონაკვეთში) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა №03/9. მომიჯნავე შენობა №03/9 ათსართულიანია (9 მიწისზედა სართულით და სარდაფის ერთი სართულით). კონსტრუქციული სქემის მიხედვით მომიჯნავე შენობა მონოლითური რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა, მისი საძირკვლები შესრულებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 60სმ. შენობა №03/9-ის მზიდი კონსტრუქციები კარგ ტექნიკურ მდგომარეობაშია. საპროექტო მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის საძირკვლები მოშორებულია შენობა №03/9-ის საძირკვლებიდან არანაკლებ 2,50 მეტრის მანძილზე,

რადგან საპროექტო მრავალადგილიანი ავტოსადგომი წარმოადგენს მიწისქვეშა ნაგებობას, შენობის მთლიანი წონა (მასა) დაახლოებით 3,5-ჯერ ნაკლებია ქვაბულიდან ამოღებული გრუნტის წონაზე. შესაბამისად, ასაშენებელი შენობის მხრიდან ფუძე-გრუნტზე მოსული საპროექტო დატვირთვები ბევრად ნაკლებია, ვიდრე ახლანდელი არსებული დატვირთვები, რაც გამორიცხავს საპროექტო მრავალადგილიანი ავტოსადგომის ჯდენით დეფორმაციებს. საპროექტო ავტოსადგომის საძირკვლების ძირი და მომიჯნავე შენობა №03/9-ის საძირკვლების ძირი განთავსებულია დაახლოებით თანაბარ ნიშნულზე (საპროექტო საძირკვლები შედარებით მაღლაა, ვიდრე არსებული, სხვაობა არ აღემატება 30სმ-ს).

შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოებით დასავლეთის მხრიდან „H“ ღერძის გარეთ, „1“-„2“ ღერძების მიმდებარე მონაკვეთში ემატება მცირე ფართი გაბარიტული ზომებით: 3,80X6,53მ. მისამატებელი ნაწილის საძირკვლები დაპროექტებულია მონოლითური რკ/ბეტონის ფილის სახით, სისქით 20სმ. მისამატებელი ნაწილის და მომიჯნავე შენობა №03/9-ის საძირკვლების ძირი განთავსებულია დაახლოებით თანაბარ ნიშნულზე, ზემოთაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, დასავლეთის მხარეს, საპროექტო შენობის მხრიდან, ამავე მიწის ნაკვეთზე მდებარე, შენობა შენობა №03/9-ზე რაიმე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

<u>ჩრდილოეთის მხრიდან</u>

დიდ ნაწილში (დასავლეთის მხარეს) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 20,0 მეტრის მანძილზე, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია.

მცირე ნაწილში (აღმოსავლეთის მხარეს) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 6,0 მეტრის მანძილზე, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია. შემდეგ, ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდალი №27, კერძო თანასაკუთრების მიწის ნაკვეთის, ს.კ. №01.17.13.001.074 ეზო, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი

ტერიტორია. ჩრდილოეთის მხრიდან განხილვის თვალსაზრისით საყურადღებო მანძილზე (10,0მ და ნაკლები) შენობა-ნაგებობები არ დგას.

<u>სამხრეთის მხრიდან</u>

დიდ ნაწილში (აღმოსავლეთის მხარეს) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 8,0 მეტრის მანძილზე, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია. შემდეგ ესაზღვრება ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდლის, №13, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთის, ს.კ. №01.17.13.001.325 ეზო, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია. ამ ნაკვეთზე მდებარე შენობა №01/3 დაშორებულია საკადასტრო მიჯნიდან 8,0 მეტრით, ხოლო საპროექტო შენობიდან 16,0 მეტრით და არ იმყოფება განხილვის თვალსაზრისით საყურადღებო მანძილზე (10,0მ და ნაკლები).

მცირე ნაწილში (დასავლეთის მხარეს) ესაზღვრება ამავე მიწის ნაკვეთის ეზო არანაკლებ 3,0 მეტრის მანძილზე, შენობა-ნაგებობებისაგან თავისუფალი ტერიტორია. შემდეგ, ესაზღვრება ქალაქი თბილისი, წინანდალის ქუჩა №15, კერძო საკუთრების მიწის ნაკვეთზე, ს.კ. №01.17.13.001.376 მდებარე, მშენებარე 2-სართულიანი შენობა, რომლის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა დასრულებულია, ამ მონაკვეთში ასევე დასრულებულია მშენებარე მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის მოწყობაც.

შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები სამხრეთის მხარეს, მომიჯნავე მშენებარე შენობასთან მიმართებაში, ავტოსადგომის ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული სისტემის ცვლილებას არ იწვევს. ზემოთაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, სამხრეთის მხარეს, საპროექტო შენობის მხრიდან, მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე მდებარე, მშენებარე 2-სართულიან შენობაზე რაიმე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“ ადგენს, რომ ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდალი, №9 ; ქალაქი თბილისი, ქუჩა წინანდალი, №9, შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ“-ს (ID: 208215509) საკუთრების მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი № 01.17.13.001.406, ასაშენებელი III კლასის მრავალადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის შეთანხმებული პროექტის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს ამავე და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების არსებული ტექნიკური მდგომარეობის გაუარესებას.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
აღმასრულებელი დირექტორი,
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ვახტანგ ჯაფარიძე /

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 115518
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10105547
ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/09/2010 15:40:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბაზისი XXI
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ძველი თბილისის რაიონში, აღმაშენებლის გამზირი 63ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	202235296
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	12/12/2003
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	2/4-3679
მარეგისტრირებელი ორგანო:	დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ძველი თბილისის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01001003423, იოსებ ცერცვაძე,
  გენერალური დირექტორი, ,
- 01005021796, ვახტანგ ჯაფარიძე,
  . , აღმასრულებელი დირექტორი

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01001003423, იოსებ ცერცვაძე.	100.00000000%	202235296-SH-00001

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257304

ეს დიპლომი მიეცა ჯაფარიძე ვახტანგ ჯივიევიჩს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს [illegible] ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1985 წელს დაამთავრა დასახელებული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „3" [illegible] დადგენილებით

[illegible] მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1986 წ. „29" 05

1276

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257304

Настоящий диплом выдан Джапаридзе Вахтангу Живиевичу

в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от [illegible] 1985 г. [illegible]

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

М. П. Город Тбилиси „29" 05 1986 г.

Регистрационный № 1276

Georgia IDENTITY CARD
საქართველო

GEO



სახელი / FIRST NAME
ვახტანგ
VAKHTANG

გვარი / LAST NAME
ჯაფარიძე
JAPARIDZE

მოქ. / CIT. GEO

სქესი / SEX მმ / M

პირადი No / PERSONAL No 01005021796

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH 10.06.1963

მოქმედების ვადა / DATE OF EXPIRY 26.06.2026

ბარათის No / CARD No 15IC19267

ხელმოწერა / SIGNATURE

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
26.06.2016

გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE

IDGEO15IC1926750100500021796<<<<
6306106M2606266GEO<<<<<<<<<<<1
JAPARIDZE<<VAKHTANG<<<<<<<<<<<<

ინფორმაცია საპროექტო და საექსპერტო სამუშაოთა შესახებ

მე, ვახტანგ ჯაფარიძე, 1985 წლიდან ვეწევი საპროექტო საქმიანობას შ.პ.ს. „თბილქალაქ პროექტ"-ში; 1997 წლიდან ვთანამშრომლობ სხვადასხვა საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებთან, სადაც ვასრულებ საპროექტო და საექსპერტო სამუშაოებს; ასევე ვეწევი სამშენებლო ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას. 2004 წლიდან ვარ შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის აღმასრულებელი დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

ჩემი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებულია შემდეგი ობიექტები:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საგარეჯოს ქ. №7-7ა;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ქეთევან წამებულის გამზ. №15-17;
- მიწისძვრისაგან დაზიანებული, ქ. თბილისის მე-4 საშუალო სკოლის გამაგრების პროექტი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები ალ. ყაზბეგის გამზ. №34-ში;
- 10 სართულიანი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის პროექტი ქ. თბილისის I კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე;
- ღვინის ქარხანა ყვარელის რ/ნ, სოფელ შილდაში;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი საბურთალოს ქ. №31;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შატბერაშვილის ქ. №7 და შატბერაშვილის ქ. №9;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარუხის გმირების ქ. №11;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ვ. იველიელის ქ. №32 / საბადურის ქ. №32-32ა, №34;
- მრავალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული საექსპერტო სამუშაოები:

- ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში, სოფელ სართიჭალასა და სოფელ საკაძეში, შ.პ.ს. „ჩირინა"-ს მეფრინველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე, მდებარე შენობების საერთო მდგრადობისა და ნაგებობის მზიდი კონსტრუქციების საპროექტო მონაცემებთან შესაბამისობის შესახებ; საექსპერტო შეფასებები კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შავიშვილის ქ. №1 / ქავთარაძის ქ. №19, შ.პ.ს. „მონოლით ჯგუფი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა № 6-ში, „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ"-ის ავტოგასამართი კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, დასახლება აეროდრომი, ქუჩა I, №20/ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება მე-3 ქუჩა №17/ ქ. თბილისი, აეროდრომის დასახლება I ქუჩა №22, ე.ს. ამხანაგობა „იმედი 2015"-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, ქინძმარაულის I შესახვევი №1-ში, შ.პ.ს. „უნიმედი კახეთი"-ს მიწის ნაკვეთზე მდებარე არსებული რეფერალური ჰოსპიტალის შენობის გამაგრება-გაძლიერების პროექტზე.
- ქ. რუსთავში, სექტორი-ჟ. შარტავა, მიკრო/რაიონი XXI, №16 და №22 სახლებს შორის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის, №12-14-16 შ.პ.ს. „ბელი"-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა №74, შ.პ.ს. „სალვუს დეველოპმენტი"-ს დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქალაქ თბილისში, ქუჩა წინანდალი №9 შ.პ.ს. „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ"-ს საგანმანათლებლო ცენტრის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.
- ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, კახეთის გზატკეცილის მე-7 კმ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „R.I.G. GAS"-ის ნავთობბაზის ობიექტების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა წინანდლის, №9, (ნაკვეთი №01/107) შ.პ.ს. „კარდიოლოგიური კლინიკა გული"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.13.001.315 არსებული საავადმყოფოს რეკონსტრუქციის (დაშენება-გადაჯდომით) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, შ.პ.ს. „აკა"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე №01.10.06.009.042 მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე
- ქ. თბილისში, ქუჩა ნარიმანოვი, №12, შ.პ.ს. „ემ. ჯი. ალიანსი"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხ. სახლის (ბლოკი: №1–№6) პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

მოწოდებულ ინფორმაციას ვადასტურებ,
შ.პ.ს. „ბაზისი XXI"-ის
აღმასრულებელი დირექტორი: /ვ. ჯაფარიძე/

საქართველო. შპს "ბაზისი XXI" GEORGIA. "BAZISI XXI" LTD 202235296

შეთავაზებული სპეციალისტის ბიოგრაფიული მონაცემები

შეთავაზებული თანამდებობა	ინჟინერ-კონსტრუქტორი
ფირმის დასახელება	შპს „ბაზისი XXI“
გვარი, სახელი	ჯაფარიძე ვახტანგ
პირადი №	01005021796
დაბადების თარიღი	10. 06. 1963წ.
საცხოვრებლის მისამართი	ქ. თბილისი, წყალტუბოს ქ. №20
ელ.ფოსტა	bazisi_xxi@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონი	595 27 21 27
ოჯახური მდგომარეობა	აუტანელი
პროფესია	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი, დამპროექტებელი
საპროექტო ორგანიზაციაში მუშაობის სტაჟი	37 წელი
ექსპერტად მუშაობის სტაჟი	22 წელი
მოვალეობის დეტალურად აღწერა	სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების კონსტრუქციების გაანგარიშება-დაპროექტება
განათლება 1980-1985წწ	უმაღლესი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების ინჟინერ-მშენებელი
ძირითადი კვალიფიკაციები 1985 წლიდან დღემდე	შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი“-ს წამყვანი კონსტრუქტორი, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის მთავარი კონსტრუქტორი
დაპროექტებული ობიექტები 1985-2023წწ	მრავალი ინდივიდუალური და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საწარმოო დანიშნულების ობიექტები, შენობების აღდგენა-გამაგრების პროექტები
თარიღი	12.02.2024წ.

ენები	კითხვა	წერა	ლაპარაკი
ქართული	მშობლიური	მშობლიური	მშობლიური
რუსული	თავისუფლად	თავისუფლად	თავისუფლად

დადასტურება
მე, ქვემორე ხელისმომწერი ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი მონაცემები ზუსტად აღწერს ჩემს პიროვნებას, ჩემს გამოცდილებას და კვალიფიკაციას.

სპეციალისტი ვახტანგ ჯაფარიძე



სახელმწიფო ლიცენზია

სლს№ 41777

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განხორციელებაზე

მეწარმე პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მაზისი XXI"

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის № 63-ა

მასზედ, რომ მას აქვს უფლება განახორციელოს საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა დანართში მოცემულ სახეობებში.

ლიცენზია მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე

განსაკუთრებული პირობები

ლიცენზიის მოქმედების ვადა
ლიცენზია გაცემულია 11122004წ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის მოადგილე, სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ლეჟავა

საქართველო, შპს "ბაზისი XXI" GEORGIA, "BAZISI XXI" LTD 202235296

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობაზე
№4177 სახელმწიფო ლიცენზიის
დანართი

ჩამონათვალი

საპროექტო – სამშენებლო საქმიანობის სახეებისა, რომელთა განხორციელების უფლება ეძლევა შპს-ს „ბაზისი XXI“

1) საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება (მ.შ. ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და რეკომენდაციების დამუშავება):
– საცხოვრებელი შენობები:
ბ. ხუთსართულიანი (მანსარდის ჩათვლით);
– საზოგადოებრივი შენობები და ნაგებობები:
ბ. ხუთ სართულამდე ან 18 მ. სიმაღლის და დახურული საშუალო სართულის კონსტრუქციის დარბაზები.
2. სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება:
– საწარმოო შენობა-ნაგებობები;
– სამრეწველო ობიექტები:
ა. მცირე სიმძლავრის.
3) პროექტების ექსპერტიზა:
– საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობები.
– საწარმოო შენობა-ნაგებობები;

გაცემულია 2004 წლის 14 დეკემბერს.

სპეციალიზებული მუდმივმოქმედი
სალიცენზიო-სანებართვო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე ალბერტ ჯანელიძე

საქართველო. შპს „ბაზისი XXI“ GEORGIA. "BAZISI XXI" LTD 202235296